

---

---

გორა კაპანაძე,

დრამის რეჟისურის მიმართულების დოქტორანტი  
ხელმძღვანელები: პროფ. დავით კობახიძე,  
პროფ. თამარ ბოკუჩავა

## „კვაჭიალა“ რუსთაველის თეატრში

მიხეილ ჯავახიშვილის „კვაჭი კვაჭანტირაძე“  
რთული სტრუქტურისა და ფორმის ნაწარმოებია, თუმცა  
მისადმი ინტერესი და მისი პოპულარობა სწორედ  
რომანის მრავალპლანიანობამ განსაზღვრა. ქართული  
თეატრი ყოველთვის უტრიალებდა ამ თემას. მიხეილ  
ჯავახიშვილის პირველი რომანი „კვაჭი კვაჭანტირაძე“  
1924 წელს დაიწერა და იმთავითვე გამოიწვია  
საზოგადოების ინტერესი.

„კვაჭი კვაჭანტირაძის“ 1925 წლის პირველივე  
გამოცემას წინ უძღვის ავტორის წინათქმა, რომელშიც  
ვკითხულობთ: „ვბედავ და ამ წიგნს წრფელის გულით  
მივუძღვნი ყველა მსხვილფეხა და წვრილფეხა კვაჭის  
და კვაჭიკოს, რომელნიც ჩემს კურთხეულ სამშობლოში  
ყოველთვის უხვად მოიპოვებოდნენ“.<sup>1</sup> თავად კი  
მოგვიანებით, 1930-31 წწ., უბის წიგნაკში ჩაწერს:  
„მეუბნებიან, ჩვენ კვაჭები აღარ გვყავსო. ეს მართალია,  
რადგან უდაბნოში კვაჭს რა უნდა! სამაგიეროდ, თუმნიანი  
კვაჭიკო ათიათასობით მოიპოვება. დიდი კვაჭები კი  
სულ სხვა ბანაკში უნდა ვეძებოთ (პოლიტკვაჭები)“.<sup>2</sup> ეს  
უკანასკნელი – **პოლიტკვაჭები** – შესაძლოა, ნებისმიერ  
დროსა და ეპოქაში გამოიყენო ფულის, ძალაუფლების,  
პოპულარობისა და საკუთარ თავზე მოფიქრალი  
პოლიტიკოსების სიმბოლოდ.

---

<sup>1</sup> ჯავახიშვილი მ., კვაჭი კვაჭანტირაძე და მისი თავგადასავალი, შვიდ-კარიანი რომანი, ტფ., „საბჭოთა კავკასიონი“, 1925. გვ. 3

<sup>2</sup> ჯავახიშვილი მ., უბის წიგნაკებიდან (1924-1935წწ.), წიგნი გამოსაცემად მოამზადეს მარინა შიშნიაშვილმა და ცისანა გენძეხაძემ, თბ., „ინტელექტი“, 2011, გვ. 254

---

---

„კვაჭი კვაჭანტირაძის“ დაწერის შემდეგ, მიხეილ ჯავახიშვილს დაუწერია სუთმოქმედებიანი პიესა, შვიდ სურათად, 30-ზე მეტი მოქმედი პირით, სახელწოდებით „ივერიუმი“ (ამჟამად დაკარგულია), რომლის მთავარი მოქმედი პირი ისევ კვაჭი იყო. პიესა რომანის გაგრძელებას წარმოადგენდა. მასში კვაჭის თურქეთიდან საქართველოში დაბრუნება ყოფილა აღწერილი. კვაჭობა, როგორც მოვლენა, მნიშვნელობას იძენდა. თავად ჯავახიშვილი დავით კასრაძესთან საუბარში აღნიშნავდა: „კვაჭი“ იმდენად პოპულარული გახდა, რომ „კვაჭობა“, „გაკვაჭება“ უკვე გაქნილი ადამიანის სახელად გადაიქცა“.<sup>1</sup> ასეთი პოპულარობის გამო, „ივერიუმი“ ბათუმის, ქუთაისისა და რუსთაველის თეატრების რეპერტუარში შეიტანეს, შესაბამისად, ის უნდა დაედგათ აკაკი ფალავას, მიხეილ ქორელსა და სანდრო ახმეტელს. პიესის შესახებ მაღალი აზრის ყოფილა სანდრო ახმეტელი: „ბოლო წლებში ქართულად ასეთი პიესა არავის დაუწერიაო“.<sup>2</sup> 1927 წლის 10 მაისს გერონტი ქიქოძე ჯავახიშვილს სწერდა: „სანდრო ახმეტელს შენი „ივერიუმი“ ძალიან მოსწონს“. რა თქმა უნდა, რეჟისორებს ჰქონდათ შენიშვნებიც, მაგალითად, მიხეილ ქორელი ჯავახიშვილს სწერდა: „პიესა ჯერჯერობით სცენისთვის არ გამოდგება – მიზეზებს კი ასე ასაბუთებდა – პიესა ძალიან დიდია, თვითეული მოქმედებაც გრძელია, გაჭიანურებულია, ამიტომ დიალოგები, რომელნიც თავის თავად ძალიან შინაარსიანია, მოსაწყენი ხდება და მსმენელს ღალავენ“. სანდრო ახმეტელს უთქვამს: „ივერიუმს“ ჯერ კიდევ ცოტათი მოთხრობის სტილის გავლენა ეტყობა, მაგრამ შემდეგ ამ გავლენისგან განთავისუფლდებო. გერონტი ქიქოძის თანახმად, ახმეტელს ერთი რჩევა

---

<sup>1</sup> ჯავახიშვილი ქ., მოგონებანი მამაზე, თბ., „მერანი“, 2000, გვ. 156

<sup>2</sup> ჯავახიშვილი ქ., ივერიუმი, ჟურნ. „მნათობი“, №5, 1968, გვ. 165

ჰქონია: „კვაჭის სახელი შესცვალო – ეს სრულიად დამოუკიდებელი ნაწარმოებიაო“.

რა თქმა უნდა, მიხეილ ჯავახიშვილი გაგებით ეკიდებოდა იმ ფაქტს, რომ პიესა სცენური ადაპტაციის დროს ცვლილებებს განიცდიდა. თავადაც სწერდა აკაკი ფალავას: „გასწორება მინდობილი აქვს ახმეტელსა და თათარაშვილს. ახმეტელი მარწმუნებს, არაფერს შევცვლითო“<sup>1</sup>.

„ივერიუმი“ დამოუკიდებელი ნაწარმოები ყოფილა (და არა „კვაჭი კვაჭანტირაძის“ ინსცენირება), რომელშიც მწერალს კვაჭის სტამბოლიდან საქართველოში დაბრუნების ამბები ჰქონია აღწერილი. ეს დადასტურებულია ჯავახიშვილის მიერ შალვა დადიანისადმი გაგზავნილ წერილებში: **„მე ვწერ კვაჭის დაბრუნების ამბავს პიესად“**.

1927 წლის 4 სექტემბრის „ზარია ვოსტოკა“ აქვეყნებს ცნობას: „მწერალმა ჯავახიშვილმა უკვე დაწერა საბჭოთა პიესა „ივერიუმი“. 29 სექტემბერს კი ამავე გაზეთის რუბრიკაში „ხელოვნება“ სათაურით – „ახალი სეზონი ქართულ დრამაში“ მითითებულია, რომ „მიხეილ ჯავახიშვილმა დაამთავრა პიესა „ივერიუმი“, რომელიც ამჟამად თეატრშია და სათანადო გადაშუშავების პროცესშია, შემდეგ გადაეცემა სათანადო ორგანოებს დასამტკიცებლად“.

1924 წლის 2 სექტემბერს გაზეთი „კომუნისტი“ წერდა: „შალვა დადიანი, რომელიც ამჟამად მოსკოვში იმყოფება სცენაზე დასადგმელად ამზადებს მ. ჯავახიშვილის რომანს „კვაჭი კვაჭანტირაძე“<sup>2</sup>. შალვა დადიანს, მიხეილ ჯავახიშვილის ნებართვით, დაუწყია რომან „კვაჭი კვაჭანტირაძის“ ინსცენირებაზე მუშაობა. ამას დადასტურებს მიხეილ ჯავახიშვილის პირად არქივში დაცული შალვა დადიანისადმი მიწერილი

<sup>1</sup> ჯავახიშვილი ქ. ივერიუმი, ჟურნ. „მნათობი“, №5, 1968, გვ. 169

<sup>2</sup> გაზ. „კომუნისტი“, 2 სექტემბერი, 1924

არაერთი წერილი, რომლებშიც ავტორი აღფრთოვანებას გამოხატავს რომანის სასცენო ვარიანტის შექმნის გამო. „კვაჭი“ და, ზოგადად, კვაჭობა მალევე იქცა მყარ გაქვავებულ ფორმად, რომელსაც დაუკავშირდა თაღლითობის, ავანტიურის, უზნეობის... მნიშვნელობები. რომანისა და ამ თემის პოპულარობას ისიც ადასტურებს, რომ 1927 წელს, როცა „ივერიუმი“ რუსთაველის თეატრში უნდა დაედგათ, უკვე რეპერტუარში შეტანილი იყო კიდევ სამი პიესა, სამივე კვაჭის თემაზე: ნიკოლოზ შიუკაშვილის „ამერიკელი ძია“ და „ამერიკელი ძიას გასაბჭოება“, შალვა დადიანისეული ინსცენირება „კვაჭი კვაჭანტირაძე“, რომელიც მოსკოვის „წითელი თეატრის“ დაკვეთით იქმნებოდა: „უთუოდ გეცოდინებათ, რომ „წითელმა თეატრმა“ შემიკვეთა პიესად ამეიქნა... პიესა ამჟამად მზადა მაქვს“ – ეს წერილი დათარიღებულია 1926 წლის 21 ივლისით. მიხეილ ჯავახიშვილი პასუხად მისწერს: „პიესის ტენზიკაც კარგად იცით და ნიჭიც შეგწევთ, ამიტომ დარწმუნებული ვარ, რომ „კვაჭის“ ნელ მასალას შესაფერად გარდაქმნით და ამოსწურავთ“. ამავე წერილში საინტერესოა მწერლის აზრი იმის შესახებ, რომ მისი რომანი ქრონოლოგიური წესით – ქრონიკის ფორმითაა დაწერილი და ეს გაართულებს ინსცენირებას, ამიტომ იმედს გამოთქვამს: „**მთლიანი კვანძის უქონლობა დინამიკამ უნდა აინაზღაუროს**“.<sup>1</sup>

გარდა ამისა, მიხეილ ჯავახიშვილს აღელვებდა მთავარი როლის შემსრულებლის საკითხიც. მოგვიანებით ის აკაკი ფალავას მისწერს: „ერთი რამ მაფიქრებს ოღონდ: კვაჭის როლი მეტად რთულია და ძნელი. ვის დააკისრებთ, ვინა გყავთ? ზარდალიშვილი მოერევა, თქვენს დასში ხომ არ არის?... **ნამდვილი სატირაა, „რევიზორივით“ ყველასი და ყველაფრის გაბითურებაა. გროტესკის საზებში არის დაწერილი**“ (წერილი დაწერილია 25. 08. 1927 წ.). აქედან აშკარაა,

<sup>1</sup> ჯავახიშვილი ქ., ივერიუმი, ჟურნ. „მნათობი“, №5, 1968, გვ. 166

რომ სტამბოლიდან ბოლშევიკურ საქართველოში დაბრუნებული კვაჭის ამბები, გროტესკულ ხაზებში დაწერილი სატირაა, ალბათ, უფრო – პოლიტიკური სატირა (ყველასი და ყველაფრის გაბითურება)! საინტერესოდ გვეჩვენება მწერლის ერთი ბარათიც, დათარიღებული 1934 წლით, რომელიც ეძღვნება სანდრო ახმეტელს. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ ფარული თუ გამოვლენილი უთანხმოება „ივერიუმის“ გამო ახმეტელსა და ჯავახიშვილს შორის უკვე შვიდი წლის მომხდარი იყო, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია დიდი პროზაიკოსისთვის, რეალურად შეეფასებინა, ასევე, დიდი რეჟისორი. ბარათში ჩვენთვის საინტერესო ასეთი პასაჟია: „შენი თაოსნობით დაარსებულმა და შენივე ხელმძღვანელობით აღზრდილმა თეატრმა – მიმართავს სანდრო ახმეტელს – თანდათან იპოვა **ეროვნული ფორმა-ხასიათი, რიტმი, პლასტიკურობა, გმირული სული**“.<sup>1</sup> აქ ჩამოთვლილია სათეატრო ხელოვნების უმთავრესი კომპონენტები, სწორედ ის, რაც ასე თვალსაჩინოა თავად „კვაჭი კვაჭანტირაძის“ მხატვრულ ქსოვილში.

მიხეილ ჯავახიშვილი უტყუარი აღლოთი გრძნობდა საშიშროებას რუსთაველის თეატრში დატრიალებული „კვაჭიდას“ გამო. სანდრო ახმეტელი გაუფრთხილება კიდევ, ოთხი კვაჭი ერთ სეზონში ვერ დაიდგმებაო! ახმეტელის პასუხი იყო: „არაფერია, უმნიშვნელოა!“ მწერალს გერონტი ქიქოძეც აიმედებდა: „ივერიუმი“ რომანის გავრძელებაა და შალვას პიესა ხელს არ შეეშლის აგრე რიგადო.

ამ პერიოდისათვის მიხეილ ჯავახიშვილი რუსთაველის თეატრის სამხატვრო საბჭოს წევრი იყო, მაგრამ „ივერიუმის“ დადგმა, თეატრის მთავარი სარეჟერტუარო კომიტეტის გადაწყვეტილებით, მომავალი სეზონისათვის

<sup>1</sup> ჯავახიშვილი ქ., მოგონებანი მამაზე, თბ., გამომცემლობა „მერანი“, 2000, გვ. 166

გადაიდო. სპექტაკლზე მუშაობა შეჩერდა ბათუმისა და ქუთაისის თეატრებშიც. ზუსტი მიზეზები უცნობია. როგორც მიმოწერიდან იკვეთება, ბათუმისა და ქუთაისის თეატრებს იდეის განხორციელებაში, ალბათ, უფრო ფინანსურმა პრობლემამ შეუშალა ხელი. სულ სხვა ვითარება იყო რუსთაველის თეატრში. კვაჭის თემაზე ოთხმა პიესამ უხერხულობა მინც შექმნა (როგორც ამას თავიდანვე ვარაუდობდა მწერალი), ამიტომ საჭირო გახდა ერთი რომელიმე პიესის მომავალი სეზონისთვის გადატანა და ეს ბედი სწორედ მიხეილ ჯავახიშვილს ხვდა. ამის შემდეგ ჯავახიშვილი იწყებს გზების ძიებას, როგორმე მშვიდად, უკონფლიქტოდ თავადვე მოაგვაროს საქმე. პირველ სამოქმედო ნაბიჯად მან გადაწყვიტა, ნიკო შიუკაშვილისთვის ეთხოვა, რომ მოესხნა კვაჭის სახელი ორივე პიესიდან: „პატივცემულო ძმაო ნიკო, ...ან მე უნდა მოვინელო ზარალიც და დამცირებაც, ან თქვენ უნდა გამოუცვალოთ სახელი კვაჭს. მე ვერ გამოვცვლი ჩემს გმირს, რადგან ტიპის ავტორი ვარ... მე „ამერიკელი ძია“ მხოლოდ სცენაზე ვნახე და დავრწმუნდი, რომ თქვენი კვაჭი არ არის ჩემი რომანის ტიპი. ის უფრო თაღლით კომისიონერს ჰგავს, ვიდრე – კვაჭს. როგორც ხედავთ, მეტად უსიამოვნო ამბავი გაიხლართა. მე მინდოდა მომეთხოვნა სარეპერტუარო კომისიისთვის, რომ მასვე გადაეჭრა დავა. რადგან მან აღძრა ეს საქმე, ისევ ის არის მოვალე, განაჩენიც გამოიტანოს. მეურ გადავწყვიტე, თქვენთვის მომემართა და ისევ შინაურულად გაგვეხსნა ეს ხლართი“<sup>1</sup>.

რა თქმა უნდა, ნიკო შიუკაშვილი მაშინვე დათანხმდა მწერალს, მოესხნა კვაჭის სახელი პიესიდან, მაგრამ ამის წინააღმდეგი უკვე თეატრი წასულა. მოკლედ, საქმე ისე გართულდა, რომ მიხეილ ჯავახიშვილი იძულებული გახდა, თხოვნით მიემართა საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის,

<sup>1</sup> ჯავახიშვილი ქ., ივერიუმი, ჟურნ. „მნათობი“, №5, 1968, გვ. 168

მიხეილ კახიანიასთვის. წერილში ვკითხულობთ: „ჩემი პიესის დადგმა მომავალი სეზონისთვის გადასდეს მარტო იმიტომ, რომ ჩემი პიესის გმირი კვაჭი სხვების პიესებშიც გამოდის და მთელი სეზონი კვაჭიად გადაიქცევაო... თხის პატრონს თხის კულსაც არ აძლევენ. კვაჭის ტიპი მე მეკუთენის და ისევ მე უნდა დავიწიო უკან? უსამართლობა ცხადზედ უცხადესია... გამოსცვალონ კვაჭის სახელი და დასდგან ორი კვაჭი – დადიანისა და ჩემი. ან ოთხივე პიესა გაუშვან და, რომელიც გაიმარჯვებს, თეატრსაც ის შერჩება. მიიღეთ კონკურენციის პრინციპი და დავაც თავის თავად გადაწყდება... მწამს, რომ სამართლიანობა აღდგენილ იქნება“.<sup>1</sup>

ამის შემდეგ ჯავახიშვილი წერილით მიმართავს სანდრო ახმეტელს (წერილი დათარიღებულია 1927 წლის 28 დეკემბრით). მწერალი დაბეჯითებით ითხოვს, რომ ნიკო შიუკაშვილის პიესებში მოხსნან კვაჭის სახელი (ნ. შიუკაშვილის თანხმობის საფუძველზე), მაგრამ, როგორც ჩანს, თეატრი არ წავიდა კომპრომისზე (აუხსნელი სიჯიუტის გამო) და არც მიხეილ ჯავახიშვილი დასთანხმდა „ივერიუმის“ მომავალი სეზონისთვის გადატანას.

ამაო აღმოჩნდა მიხეილ ჯავახიშვილის მცდელობაც, დაედგათ სპექტაკლი. ნიკოლოზ შიუკაშვილისადმი, სანდრო ახმეტელისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველი მდივნის, მიხეილ კახიანიასადმი მიწერილმა წერილებმა შედეგი ვერ გამოიღო.

როგორც ცნობილია, 1927-1928 წლების სეზონის მოსამზადებლად რუსთაველის თეატრის დასი ზაფხულში ბორჯომში ჩავიდა. ახმეტელმა აქ მუშაობა დაიწყო უილიამ შექსპირის „მეფე ლირსა“ და მიხეილ ჯავახიშვილის „კვაჭი კვაჭანტირაძეზე“ (ინსცენირება შალვა დადიანისა). სარეპეტიციო დღიურის მიხედვით

<sup>1</sup> ჯავახიშვილი ქ. ივერიუმი, ჟურნ. მნათობი, №5, 1968. გვ. 168.

ირკვევა, რომ რეჟისორის ასისტენტი დოდო ანთაძე ყოფილა (რუსთაველის თეატრის მუზეუმის 1927-28 წწ. სარეპეტიციო დღიურის მასალები №30-55). რეპეტიციები დაიწყო 4 ივლისს და შეწყდა რვა თვის შემდეგ – 1928 წლის 23 მარტს. სპექტაკლზე მუშაობის შეჩერების რეალური მიზეზები კარგა ხანს უცნობი იყო. არსებობდა მხოლოდ ვარაუდები. სამწუხარო ფაქტია ისიც, რომ, როგორც მიხეილ ჯავახიშვილის „ივერიუმი“, ისე შალვა დადიანისეული ინსცენირებაც დაკარგულია. სარეპეტიციო დღიურის მიხედვით, ბევრი რამის რეკონსტრუქციაა შესაძლებელი<sup>1</sup>, ჩვენ მხოლოდ ზოგიერთ ასპექტს შევხებით: 1927 წლის 23 ივლისს გაზეთი „ზარია ვოსტოკა“ რუბრიკაში „ხელოვნება“ აქვეყნებს ცნობას, როგორ ემზადება ქართული თეატრი 1926-27 წწ. სეზონისათვის: „ქართული პიესებიდან თეატრმა უკვე მიიღო „კვაჭი“ შ. დადიანის მიერ მიხეილ ჯავახიშვილის ამავე სახელწოდების რომანიდან გადმოკეთებული“. პირველივე რეპეტიციის ჩანაწერში სახელწოდებად წერია „კვაჭი“, მის ქვემოთ – როლების განაწილება. „კვაჭი“ კიდევ გამოჩნდება 8 ივლისისა და 3 სექტემბრის სარეპეტიციო ჩანაწერებში. სხვა შემთხვევაში მითითებულია, როგორც „კვაჭი კვაჭანტირაძე“. 13 აგვისტოს „ზარია ვოსტოკა“ იუწყება, რომ თეატრში „დასადგმელად მზადდება აგრეთვე შ. დადიანის ახალი პიესა „გაიმასქნება“, რომელსაც საფუძვლად უდევს მ. ჯავახიშვილის რომანის „კვაჭის“ ფაბულა“. მხოლოდ 1927 წლის 6 სექტემბრიდან 30 სექტემბრის ჩათვლით სარეპეტიციო ჩანაწერებში „კვაჭის“ ნაცვლად ჩნდება სახელწოდება – „გაიმასქნება“, თუმცა იქვე ფრჩხილებსა და ბრჭყალებში მითითებულია – („კვაჭი“), რომელსაც მოსდევს დასათაურება „II სურათის დაგეგმვა“. ასე

<sup>1</sup> დაწვრილებით იხ.: დავითაია ე., სანდრო ახმეტელის განუხორციელებელი დადგმა „კვაჭი კვაჭანტირაძე“ მ. ჯავახიშვილის რომანის მიხედვით, თეატრმცოდნეობითი ძიებანი, №8-9, თბ., 1979, გვ. 81-94



რომ, „კვაჭისა“ და „კვაჭი კვაჭანტირაძის“ გვერდით ჩნდება მესამე სახელიც, „გაიმასქნება“.

ახმეტელი სპექტაკლში იყენებდა ინტერმედიებს: „ინტერმედიები ჩართული უნდა იქნეს ყოველი სურათის შემდეგ ან დასაწყისში“ – ვკითხულობთ დღიურში. ვასილ კიკნაძის აზრით, ინტერმედიებს არ ჰქონდა მხოლოდ სპექტაკლის „შეკვრის“ ამოცანა. ახმეტელს „აინტერესებდა ხალხური თეატრალური სანახაობითი ფორმების ძიება, მისი გაცოცხლება. ინტერმედიები მას საშუალებას აძლევდა, ჩატარებინა გაბედული ექსპერიმენტი“.<sup>1</sup> წარმოდგენას მუსიკალურად აფორმებდა იონა ტუსკია, ხოლო ესკიზებს ირაკლი გამრეკელი ქმნიდა. სარეპეტიციო დღიურების მიხედვით ირკვევა, რომ სპექტაკლი დატვირთული იყო მელოდიებით. რეპეტიციებზე მოუსმენიათ შემდეგი ნომრები: სიმღერა „ქალი მომწონდა“; „მარში ქოსასა და ნაცარქექიას დიალოგისათვის“; „ნანა“; „საყვარელი მყავს და მიყვარს“; „ეო მეო“; „მე ვარ და ჩემი ნაბადი გამთენებელი ღამისა“; „ოი, დილილმე, დილილმე“; „მივიღვარ ღამაზ ქუთაისს“. როგორც ჩანს, იონა ტუსკია ეყრდნობოდა ხალხში გავრცელებულ ჰანგებს და სპექტაკლისთვის ამუშავებდა. ამკარაა, რომ ეს მელოდიები პერსონაჟთა ხასიათის გამოკვეთას უწყობდა ხელს. შემოქმედებით წვასა და ძიებაში იყო ირაკლი გამრეკელიც. მას წარმოუდგენია ესკიზები, მუშაობდა დეკორაციებზეც, მაგალითად: პირველი მოქმედების მეშვიდე სურათში ცარიელ სცენაზე შემოჰქონდათ კასრი, რომელიც გახსნის შემდეგ რესტორნის ფუნქციას იძენდა ოთხი მაგიდითა და 17 სკამით.

სანდრო ახმეტელს საინტერესოდ გაუნაწილებია როლებიც:

---

<sup>1</sup> კიკნაძე ვ., სანდრო ახმეტელის დაუმთავრებელი რეპეტიციები (კვაჭი კვაჭანტირაძე – 1927 წ.), თეატრალური მოამბე №1, 1975, გვ. 28.

კვაჭი კვაჭანტირაძე – გ. დავითაშვილი  
სილიბისტრო – ალ. კორიშელი  
ჭიპი – ალ. ჟორჟოლიანი  
ლექსა – თ. წულუკიძე  
ელენე – თ. ჭავჭავაძე  
ლასპუტინი – ა. ხორავა

სპექტაკლში დაკავებული იყო თითქმის მთელი დასი:  
ს. თაყაიშვილი, პ. კობახიძე, ე. აფხაიძე, პ. კანდელაკი,  
ვ. გოძიაშვილი, ი. ქანთარია, ბ. შავიშვილი...

ახმეტელმა ბორჯომიდან დაბრუნების შემდეგ  
თბილისშიც განაგრძო სპექტაკლზე მუშაობა. „მე-2  
მოქმედება, ფაქტობრივად, თითქმის დასრულებული  
იყო, როცა მუშაობა შეწყდა“<sup>1</sup>

რეპეტიციების დაწყებიდან ერთ კვირაში ბორჯომში  
ჩავიდა თავად მიხეილ ჯავახიშვილი, რომელიც  
დაესწრო მერვე რეპეტიციას და სანდრო ახმეტელთან  
ხანგრძლივი საუბარიც ჰქონდა სპექტაკლის ირგვლივ.  
არ არის გამორიცხული, ემსჯელათ „ივერიუმის“  
შესახებაც, ასე მტკივნეულად რომ განიცდიდა  
მწერალი. როგორც ცნობილია, სანდრო ახმეტელს  
დადიანისეული ინსცენირების დადგმა გადაწყვეტილი  
ჰქონდა ბერიკების ნიღბებით. აკაკი ვასაძის აზრით,  
ეს ერთგვარი სტილისტური შეუსაბამობა იყო, რადგან  
მიხეილ ჯავახიშვილის მკვეთრად რეალისტურ სახეებზე  
მორგებული ბერიკების ნიღბები, ცოტა არ იყოს,  
ხელოვნური აღმოჩნდა, კარგავდა მნიშვნელობას და  
სიმწვავეს. ფორმა და არსი უნებურად დაუპირისპირდა  
ერთმანეთს, როგორც ცა და მიწა“<sup>2</sup>

მიხეილ ჯავახიშვილის „კვაჭიდაზე“ შეტევა  
პრესითაც დაიწყო. 1927 წლის გაზეთი „კომუნისტი“

<sup>1</sup> დავითაია ე., სანდრო ახმეტელის განუხორციელებელი დადგმა  
„კვაჭი კვაჭანტირაძე“ მ. ჯავახიშვილის რომანის მიხედვით,  
თეატრმცოდნეობითი ძიებანი, №8-9, თბ. 1979. გვ. 94.

<sup>2</sup> ვასაძე ა., მოგონებები და ფიქრები. ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“,  
№11, 1974. გვ. 101.

აქვეყნებს პლ. ქიქოძის წერილს: „რაც შეეხება რეპერტუარის იმ ნაწილს, სადაც კვაჭი ბატონობს („კვაჭის გასაბჭოება“, „ივერიუმი“ - მ. ჯავახიშვილის, „ამერიკელი ძია“ - შიუკაშვილის), ამაზე რაღა ითქმის? აქაც ამკარაა, თუ რომელი აუდიტორიისთვისაა შექმნილი იგი. საქმე იმაშია, რომ თეატრი გვპირდება კვაჭის ნიღაბის შექმნას და, საერთოდ, ნიღაბთა თეატრად გადაქცევას ლამობს“.

1927 წლის 13 ნოემბერს შედგა პრემიერა ნიკო შიუკაშვილის პიესისა „ამერიკელი ძია“ (მეორე ნაწილი), დამდგმელი რეჟისორი - ს. ახმეტელი, მხატვარი - მ. შავიშვილი, კომპოზიტორი - ი. ტუსკია. მართალია, ამ სპექტაკლის მთავარი პერსონაჟი - კვაჭი, როგორც მიხეილ ჯავახიშვილი ამბობდა, არ ჰგავდა თავის კვაჭს. რა თქმა უნდა, იყო მსგავსებაც, მაგრამ „რომანის გმირისგან განსხვავებით, შიუკაშვილთან იგი არაა ისეთი თავაწყვეტილი - ფრთხილობს, ზვერავს ახალ სინამდვილეს. „ამერიკელ ძიაში“ კვაჭი „განვითარებადი“ ტიპია, პარტიულ-ბიუროკრატიულ აპარატთან ერთად დასახვეწი. მომავალში იგი დიდი კომბინატორი გახდება“.<sup>1</sup>

ნიკო შიუკაშვილთანაც და მიხეილ ჯავახიშვილთანაც ერთი მთავარი ფაქტი იყო სარისკო: როგორც უკვე დადგმულ სპექტაკლში, ისე დასადგამ „ივერიუმიც“ კვაჭი მოქმედებდა ბოლშევიკურ საქართველოში და ყალიბდებოდა ახალი ტიპის ბოლშევიკ თაღლითად. კვაჭის გასაბჭოება, რა თქმა უნდა, შეუმჩნეველი არ იქნებოდა პარტიული ნომენკლატურისთვის და, როგორც ჩანს, პრობლემებმაც ამის გამო იჩინა თავი.

1927 წლის 8 დეკემბერს გაიმართა ნიკო შიუკაშვილის მეორე პიესის „ძიას გასაბჭოება“ პრემიერა. როგორც აკაკი ვასაძე იგონებს: „აწ დადგმული „გასაბჭოებული ძია“

<sup>1</sup> ოქროპირიძე ზ., კვაჭის ტიპი XX საუკუნის 20-იანი წლების ქართულ დრამატურგიაში, ჟურნ. „კრიტიკიუმი“, №13, 2005. გვ. 107

ისეთ მწვავე პოლიტიკურ პასქვილში გადაიზარდა, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ მოიხსნა რეპერტუარიდან<sup>1</sup>.“

საქმე ისაა, რომ 1928 წლის 7 იანვარს შედგა რუსთაველის თეატრის სარეპერტუარო საბჭოს სხდომა, რომელზეც მოიხსნა ნიკო შიუკაშვილის პიესა „ძიას გასაბჭოება“. სხდომის თავმჯდომარემ ს. თოხაძემ განაცხადა: „შემდეგი საკითხია „ივერიუმის“ შესახებ. ჩვენ ეს პიესა ავკრძალეთ. საკითხი ახლა ასე დგას: ერთ-ერთ ორგანიზაციაში ის განხილულ იქნა. **პიესა მოხსნამ ორგანომ**...“ შემდეგ კ. მეგრელიძე ასე დააბოლოოებს: „არსებობს **ორგანოს დადგენილება** ამ პიესის აკრძალვის შესახებ. სამხატვრო კომიტეტს არა აქვს არავითარი უფლება ამ პიესის შესახებ ილაპარაკოს“<sup>2</sup>.

მამასადაძე, „ერთ-ერთ ორგანოში“ უკვე გადაწყვეტილი ჰქონდათ რეპერტუარიდან კვაჭის თემაზე არსებული პიესების გაქრობა. ამიტომაც აკრძალეს დადგმული სპექტაკლი „ძიას გასაბჭოება“ (პიესა დაკარგულად ითვლება), არ დადგმულა და აიკრძალა „ივერიუმი“ (პიესა დაკარგულია) და 8-თვიანი რეპეტიციების შემდეგ (სულ 93 რეპეტიცია), შეწყდა შალვა დადიანისეულ ინსცენირებაზეც მუშაობა (ეს ინსცენირებაც დაკარგულია).

მიხეილ ჯავახიშვილის რომანმა, რომ იტყვიან, შეაზანზარა ქვეყანა! რუსთაველის თეატრში დაწყებული „კვაჭიდას“ ბუმი გასაბჭოებულ საქართველოში საშიშ მოვლენად მიიჩნიეს, რადგან არც თაღლითი ბოლშევიკის სახე და არც სატირული, „გროტესკულ ხაზებში დაწერილი ყველას და ყველაფრის გაბითურება“, მამხილებელი პათოსის პიესები „ამ ორგანოსათვის“ მისაღები არ იყო. ასე გამოუტანა განაჩენი სპექტაკლსა და პიესებს ბოლშევიკურმა რეჟიმმა. ეს დასაწყისი

<sup>1</sup> ა. ვასაძე, მოგონებები, ფიქრები, 1977, თბ., გვ. 243

<sup>2</sup> დავითაია ე., სანდრო ახმეტელი. დოკუმენტები და ნარკვევები, თბ., 1987, გვ. 281

---

---

იყო წითელი ტერორისა. „ამ ორგანოსგან“ ათი წლის შემდეგ თავად მიხეილ ჯავახიშვილსაც საბედისწერო განაჩენი ელოდა!

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

- ჯავახიშვილი მ., კვაჭი კვაჭანტირაძე და მისი თავგადასავალი, შვიდ-კარიანი რომანი, ტფილისი: გამომცემლობა „საბჭოთა კავკასიონი“, 1925;
- ჯავახიშვილი მ., უბის წიგნაკებიდან (1924-1935წწ.), წიგნი გამოსაცემად მოამზადეს მარინა შიშნიაშვილმა და ცისანა გენძეხაძემ, თბილისი: გამომცემლობა „ინტელექტი“, 2011;
- ჯავახიშვილი ქ., მოგონებანი მამაზე, თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 2000;
- გაზ. „კომუნისტი“, 2 სექტემბერი, 1924;
- გაზ. „ზარია ვოსტოკა“, 23 ივლისი; 13 აგვისტო, 4 სექტემბერი, 1927;
- ვასაძე ა., მოგონებები და ფიქრები. ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, №11, 1974;
- ოქროპირიძე ზ., კვაჭის ტიპი XX საუკუნის 20-იანი წლების ქართულ დრამატურგიაში. ჟურნ. „კრიტიკიუმი“, №13, 2005;
- ჯავახიშვილი ქ., ივერიუმი. ჟურნ. მნათობი, №5, 1968.
- რუსთაველის თეატრის მუზეუმის 1927-28 წწ. სარეპეტიციო დღიურის მასალები, №30-55.